# სპეციალური განათლების პედაგოგების პროფესიული გადაწვა, მაინდფულნესი და ემოციური რეგულაციების სირთულეები.

ნინო ნიკოლეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : პროფესორი ქეთევან მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

# აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სპეციალური განათლების პედაგოგების პროფესიული გადაწვის სინდრომის ურთიერთმიმართება მაინდფულნესის მდგომარეობასა და ემოციური რეგულაციების სირთულეებთან, თბილისის დღის ცენტრებსა და საჯარო სკოლებში სპეციალური განათლების პედაგოგების მაგალითზე. საკვლევი თემის ყველა ცვლადს შორის კავშირების განხილვისას აქცენტი კეთდება სპეციალური პედაგოგების ემოციური მდგომარეობების სპექტრზე, რომელიც გამოხატულია მონაწილეების მდგომარეობასა და ქცევებში. მოცემული კვლევის მიზანს წამოადგენდა, იმის დადგენა, არსებობს თუ არა კავშირები პროფესიული გადაწვის სინდრომის, მაინდფულნესის მდგომარეობისა და ემოციური რეგულაციების განზომილებებს შორის. ასევე განსხვავებულია თუ არა ეს კავშირები სხვადასხვა ასაკისა და სამუშაო გამოცდილების მქონე პედაგოგებისთვის. მონაწილეთა ასაკი მერყეობდა 22 დან 78 მდე, ხოლო სამუშაო გამოცდილება 6 თვიდან 40 წლამდე. სამივე ცვლადის საკვლევად გამოყენებული იქნა თვითადმინისტრირებადი კითხვარები (პროფესიული გადაწვი სინდრომის, მაინდფულნესის -ყურადღების 5 ასპექტის , ემოციური რეგულაციების სირთულეების კითხვარები). კვლევის შედეგებმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირების არსებობა როგორც ცვლადების მთლიან მაჩვენებლებს, ასევე მათ ცალკეულ განზომილებებს შორის. შედეგების მიხედვით პროფესიული გადაწვის სინდრომის პრედიქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ასევე გამოიკვეთა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირები პროფესიული გადაწვის ორ განზომილებასა და საკვლევი ცვლადების იმ განზომილებებთან, რომლებიც ეხება პედაგოგების ქცევით მახასიათებლებს.



***საკვანძო სიტყვები*** *: პროფესიული გადაწვის სინდრომი, მაინდფულნესი, ემოციური რეგულაციების სირთულეები*